

გრიპი A (H1N1) - განახლება 28

2009 წლის 14 მაისი – გრინვიჩის დროით 06:00 საათისთვის ოცდაცამეტმა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 6497 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 2446 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 60 გარდაცვალებით. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 3352 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, სამი გარდაცვალებით. კანადამ – 389 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით და კოსტა რიკამ 8 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: არგენტინა (1), ავსტრალია (1), ავსტრია (1), ბრაზილია (8), ჩინეთი, (4), კოლუმბია (7), კუბა (1), დანია (1), სალვადორი (4), ფინეთი (2), საფრანგეთი (14), გერმანია (12), გვატემალა (3), ირლანდია (1), ისრაელი (7), იტალია (9), იაპონია (4), ჰოლანდია (3), ახალი ზელანდია (7), ნორვეგია (2), პანამა (29), პოლონეთი (1), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (3), ესპანეთი (100), შვეცია (2), შვეიცარია (1), ტაილანდი (2) და გაერთიანებული სამეფო (71).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას გრიპის ახალი A(H1N1) ვირუსით გამოწვეული აფეთქების გამო.

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათ, ვისაც მოგზაურობის შემდეგ გამოუვლინდებათ დაავადება უნდა მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება. ესაა გონივრული ღონისძიება, რომელიც შეზღუდავს მრავალი გადაამდები დაავადების გავრცელებას, გრიპის ჩათვლით.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.